

სს „ჩაჩავას კლინიკა“

ფასს-ებზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების
ფინანსური ინფორმაცია, და

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	3
--	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ინფორმაცია.....	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ინფორმაცია.....	7
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინფორმაცია	8
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ინფორმაცია	9

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
4. შემოსავლები სამედიცინო საქმიანობიდან	19
5. სხვა შემოსავალი	19
6. სხვა ხარჯები.....	19
7. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	19
8. მოგების გადასახადი	20
9. ძირითადი საშუალებები	20
10. არამატერიალური აქტივები	21
11. გაცემული სესხები	21
12. მარაგები.....	21
13. საგადასახადო აქტივი	21
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
16. სააქციო კაპიტალი	22
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	23
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
20. პირობითი ვალდებულებები	28
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

მმართველობის ანგარიშგება.....	31
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

სს „ჩაჩავას კლინიკის“ ხელმძღვანელებს და აქციონერებს,

პირობითი მოსაზრება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ჩაჩავას კლინიკის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციის, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ინფორმაციის, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინფორმაციისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ინფორმაციისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მომზადების საფუძვლების (შენიშვნა 2) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2018 წლის 18 მაისს და შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და შეზღუდვა გავრცელებასა და გამოყენებაზე

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ მე-2 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ თანდართული ფინანსური ინფორმაცია შესაძარისი წინა წლის ინფორმაციის გარეშე არ წარმოადგენს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების სრულ პაკეტს. წინამდებარე დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობის ინფორმირებისა და გამოყენებისთვის, კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების საფუძველთან დაკავშირებით, ფასს-ზე გადასვლისათვის. დასკვნა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სხვა მიზნით ან მიეწოდოს სხვა მხარეებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან,

მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

28 სექტემბერი 2018

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2017
შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან	4	10,413,161
სხვა შემოსავალი	5	573,843
სულ საოპერაციო შემოსავალი		10,987,004
მარაგების ცვლილება		79,075
მარაგის შესყიდვის ხარჯი		(2,099,495)
პერსონალის ხარჯები		(5,968,031)
ცვეთა და ამორტიზაცია	9, 10	(917,099)
სხვა ხარჯი	6	(985,091)
სულ საოპერაციო ხარჯები		(9,890,641)
საოპერაციო მოგება		1,096,363
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	7	199,228
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		(10,411)
მოგება დაბეგვრამდე		1,285,180
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(107,139)
წლის სრული შემოსავალი		1,178,041

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი _____ ნ. ყაზახაშვილი

ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი _____ მ. სვანიძე

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ინფორმაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	01.01.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	29,783,574	30,405,043
არამატერიალური აქტივები	10	20,045	23,013
გაცემული სესხები	11	565,343	723,180
სულ გრძელვადიანი აქტივები		30,368,962	31,151,236
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	360,306	281,231
საგადასახადი აქტივები	13	119,836	74,490
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	1,191,016	1,192,731
გაცემული სესხები	11	158,968	85,360
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	2,888,857	1,232,294
სულ მიმდინარე აქტივები		4,718,983	2,866,106
სულ აქტივები		35,087,945	34,017,342
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	659,392	659,392
გაუნაწილებელი მოგება		33,535,271	33,071,491
სულ კაპიტალი		34,194,663	33,730,883
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	893,282	286,459
სულ მიმდინარე ვალდებულებები		893,282	286,459
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		35,085,945	34,017,342

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვარი	659,392	33,071,491	33,730,883
სრული შემოსავალი	-	1,178,041	1,178,041
გამოცხადებული დივიდენდი	-	(714,261)	(714,261)
2017 წლის 31 დეკემბერი	659,392	33,535,271	34,194,663

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		1,285,180
კორექტირებები:		
ცვეთა	9, 10	917,099
საპროცენტო შემოსავალი	7	(218,197)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	16,440
საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი		29,380
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,029,902
მარაგების ზრდა		(79,075)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		1,715
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		556,266
საგადასახადო აქტივების ზრდა		(152,485)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,356,323
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,387)
გადახდილი დივიდენდი		(714,261)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,639,675
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(256,159)
მიღებული პროცენტები		218,786
გაცემული სესხების მიღება		64,672
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		27,299
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,666,974
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	1,232,294
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(10,411)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	2,888,857

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ჩაჩავას კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ასევე, ამბულატორულ სამედიცინო სერვისებს.

კლინიკა წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კლინიკას უშუალოდ მართავს გენერალური დირექტორი. კლინიკა საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და სააქციო საზოგადოების წესდების შესაბამისად.

კომპანია მდებარეობს თბილისში. კლინიკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა #38.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 75.51% აქციების მფლობელია ფიზიკური პირი ელგუჯა გოცირიძე, რომელიც არის მაკონტროლებელი პირი. აქციების 14.04%-ს და 2.57%-ს ფლობენ ფიზიკური პირები კინტრია ნიკოლოზი და იოსელიანი მარინა, შესაბამისად. აქციების დარჩენილ პროცენტს (7.88%) ფლობელ ფიზიკური პირები, რომელთა ინდივიდუალური წილობრივი მონაწილეობა არის 1%-ზე ნაკლები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

მოცემულ ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია კომპანიის მენეჯმენტისთვის, იმისთვის რათა დახმარება გაუწიოს კომპანიას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლაში 2018 წლის 31 დეკემბრისთვის. გადასვლის თარიღამდე კომპანია არც ამზადებდა და არც წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას.

ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის, რომელსაც კომპანია გამოიყენებს როდესაც მოამზადებს ფასს-ბის სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლის ნაწილისა. კომპანიამ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწისა და შენობების ჯგუფი შეაფასა რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღნიშნული ღირებულება გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფასს-ზე გადასვლის სპეციალური ფინანსური ინფორმაციის მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც შესაძლოა შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე. შესაბამისად, სანამ კომპანია პირველად მოამზადებს ფასს-ბის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს ფასს 1-ის შესაბამისად, ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი, ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვარს, და ასევე 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ მოზადებული ფინანსური ინფორმაცია არ განსხვავდებოდა ფასს-ის შესაბამისად მოზადებული ფინანსური ინფორმაციისგან, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლისა. ფასს-ებზე გადასვლის მიზნით კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების ნაწილის - მიწისა და შენობების ჯგუფის შეფასება რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. რეალური ღირებულება კომპანიამ გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება და ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის წარადგინა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დასაშვები ღირებულებით:

	სააღრიცხვო პოლიტიკით ფასს-ებზე გადასვლამდე 01.01.2017	კორექტირება	ფასს-ებზე გადასვლის შემდეგ 01.01.2017
ძირითადი საშუალებები (მიწა და შენობა)	2,122,062	24,134,194	26,256,256

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ინფორმაციაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შესწორება

შესწორების თანახმად, კომპანიას მოეთხოვება ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარადგინოს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მოიცავს როგორც მონეტარულ, ასევე არამონეტარულ ცვლილებებს.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, შემდეგია:

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2017 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საკონტრაქტო მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ორგანიზაციის სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხვავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

ამჟამად, კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2017	01.01.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7980

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ იწარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.5 სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.7 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.6 სხვა შემოსავალი

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.7 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.8 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.9 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.10 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლში შემავალი შენობების და მიწის ჯგუფისა. კომპანიამ მიწისა და შენობების ჯგუფი შეაფასა რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღნიშნული ღირებულება გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხევა.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20-50
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	3-20
აღჭურვილობა და ინვენტარი	3-20
სატრანსპორტო საშუალება	7-10
სხვა	7-25
მიწა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.11 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.12 მარაგები

კომპანიის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ჩამოწერის მეთოდით.

2.13 სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც სააქციო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება აქციების ნომინალური ღირებულებით.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) რეალური ღირებულების გამოყენება ძირითადი საშუალებების დასაშვები ღირებულების განსაზღვრად

არასრული ისტორიული სააღრიცხვო ჩანაწერების გამო კომპანიამ ვერ შეძლო შენობის და მიწის ჯგუფის ისტორიული ღირებულების განსაზღვრა. ფასს 1-ის თანახმად, კომპანიას უფლება აქვს ფასს-ებზე გადავლის თარიღისთვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვროს რეალური ღირებულებით და გამოიყენოს იგი როგორც აქტივების დასაშვები ღირებულება (ფასს 1.16). კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწის და შენობის დასაშვები ღირებულების განსაზღვრად.

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. შემოსავლები სამედიცინო საქმიანობიდან

შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან დაფინანსების სახეების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
თვითდინებით მოსული პაციენტები	8,569,849
სოციალური მომსახურების სააგენტო	1,332,634
სადაზღვეო კომპანიები	510,678
სულ	10,413,161

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
მედიკამენტების რეალიზაცია	314,921
ესთეტიკური მომსახურება	169,793
კვების ობიექტიდან მიღებული შემოსავალი	65,195
სხვა	23,934
სულ	573,843

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
პროფესიული მომსახურება	(333,894)
კომუნალური ხარჯები	(193,648)
მიმდინარე რემონტი და შეკეთება	(79,610)
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(79,168)
რეცხვა	(70,989)
დაცვის მომსახურება	(69,471)
ოფისის ხარჯი	(36,073)
ბანკის საკომისიო	(32,720)
რეკლამა	(32,003)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(16,440)
სხვა	(41,075)
სულ	(985,091)

7. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
ფინანსური შემოსავალი	
ბანკის მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	158,806
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	59,391
	218,197
ფინანსური ხარჯი	
სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(18,969)
სულ	199,228

8. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. 2017 წელში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილია ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	აღჭურვილობა ა და ინვენტარი	სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	18,659,940	7,928,613	1,631,666	5,189,453	456,671	33,866,343
შემოსვლა	-	-	85,979	204,076	19,048	309,103
გასვლა	-	-	(81,386)	(1,325)	(7,310)	(90,021)
2017 წლის 31 დეკემბერი	18,659,940	7,928,613	1,636,259	5,392,204	468,409	34,085,425
2017 წლის 1 იანვარი	-	(21,519)	(785,971)	(2,515,615)	(138,195)	(3,461,300)
ცვეთა	-	(168,541)	(214,213)	(498,426)	(32,952)	(914,132)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	69,577	1,324	2,680	73,581
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(190,060)	(930,607)	(3,012,717)	(168,467)	(4,301,851)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარი	18,659,940	7,907,094	845,695	2,673,838	318,476	30,405,043
2017 წლის 31 დეკემბერი	18,659,940	7,738,533	705,652	2,379,487	299,942	29,783,574

ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის კომპანიამ ძირითადი საშუალებების ნაწილი - მიწასა და შენობების ჯგუფი შეაფასა რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულება გამოიყენა, როგორც დასაშვები ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. დასაშვებ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა განმარტებულია მე-2 შენიშვნაში. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. ძირითადი საშუალებების შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, მიწის შეფასება მოხდა საბაზრო მეთოდის გამოყენებით, რადგან შეფასების თარიღისთვის არსებობდა საკმარისი რაოდენობის რეგისტრირებული გაყიდვების და შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია. შეფასების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს ანალოგები, რომელთა ღირებულებების კორექტირება მოხდა შესაფასებელ ობიექტებსა და ანალოგებს შორის განსხვავებების გათვალისწინების მიზნით. შენობების ჯგუფის შეფასება განხორციელდა დანახარჯების მეთოდის გამოყენებით, რადგან შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და ასევე არის სპეციალიზირებული ქონება. ქონების შეფასება განხორციელდა შენობის ტიპური ანალოგის კონსტრუქციული ნაწილის ასაშენებლად გასაწევი დანახარჯების განსაზღვრით, სამშენებლო-სახარჯთაღრიცხვო წესების მიხედვით განსაზღვრული ნორმების და მიმდინარე ფასების საფუძველზე. შეფასებულ ღირებულებაში გათვალისწინებულია დაშვებები, რომელიც უკავშირდება შენობის ფიზიკურ, ფუნქციურ და ეკონომიკურ მოძველებას. დანახარჯების მეთოდით შეფასებული ქონების ღირებულება გაიტესტა გაუფასურებაზე, რომელიც განხორციელდა შემოსავლების მეთოდის გამოყენებით. შემოსავლების მეთოდი ეფუძნება არათვალსაჩინო მონაცემებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეფასების ობიექტზე. აღნიშნული მონაცემები მოიცავს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას და დისკონტირების განაკვეთს (კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება).

10. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამა ორისის ლიცენზიებსა და 3D ექოსკოპის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელთა ისტორიული ღირებულება ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 34,539 ლარს, ხოლო დაგროვილი ამორტიზაცია კი - 14,494 და 11,526 ლარს, შესაბამისად. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 2,967 ლარს.

11. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს შპს „მ. შარაშიძის სამედიცინო ცენტრზე“ გაცემულ სესხს. სესხის ნომინირებულია დოლარში. სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთის შეადგენს 8%-ს. სესხის დაფარვის ვადა არის 2022 წელი. სესხის ძირი თანხა და საპროცენტო მოთხოვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 719,517 და 4,794 ლარს, შესაბამისად. სესხის ძირი თანხა და საპროცენტო მოთხოვნა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 803,084 და 5,456 ლარს, შესაბამისად.

გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

12. მარაგები

მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
სამედიცინო მედიკამენტები და სახარჯი მასალები	334,812	254,742
სამეურნო მარაგები	12,336	11,698
საწვავი	11,634	13,509
სხვა	1,524	1,283
სულ	360,306	281,231

13. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 119,836 და 74,490 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო აქტივი.

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,127,959	1,085,560
სხვა მოთხოვნები	60,909	32,116
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,188,868	1,117,676
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	2,148	75,055
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,148	75,055
სულ	1,191,016	1,192,731

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	1,830,981	947,272
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,008,567	230,197
ნაღდი ფული	49,309	54,825
სულ	2,888,857	1,232,294

ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

16. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგება 659,392 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. კომპანიის აქციების წილობრივი მფლობელობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია პირველ შენიშვნაში.

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	208,106	97,868
სახელფასო ვალდებულებები	547,960	63,735
სულ ფინანსური ვალდებულებები	756,066	161,603
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	137,216	124,856
სულ არაფინანსური ვალდებულებები	137,216	124,856
სულ	893,282	286,459

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,888,857	1,232,294
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,188,868	1,117,676
გაცემული სესხები	724,311	808,540
სულ ფინანსური აქტივები	4,802,036	3,158,510
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	756,066	161,603
სულ ფინანსური ვალდებულებები	756,066	161,603

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2017
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,188,868	-	-	1,188,868
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,057,876	1,428,097	402,884	2,888,857
გაცემული სესხები	-	724,311	-	724,311
სულ ფინანსური აქტივები	2,246,744	2,152,408	402,884	4,802,036

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	756,066	-	-	756,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	756,066	-	-	756,066
წმინდა სავალუტო პოზიცია	1,490,678	2,152,408	402,884	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	01.01.2017
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,117,676	-	-	1,117,676
ფული და ფულის ეკვივალენტები	285,022	830,282	116,990	1,232,294
გაცემული სესხები	-	808,540	-	808,540
სულ ფინანსური აქტივები	1,402,698	1,638,822	116,990	3,158,510

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	161,603	-	-	161,603
სულ ფინანსური ვალდებულებები	161,603	-	-	161,603
წმინდა სავალუტო პოზიცია	1,241,095	1,638,822	116,990	

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2017	აშშ დოლარი		ევრო	
	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება-ზარალი	430,482	(430,482)	80,577	(80,577)

2017 წლის 1 იანვრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

01.01.2017	აშშ დოლარი		ევრო	
	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება-ზარალი	327,764	(327,764)	23,398	(23,398)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით:

	31.12.2017	01.01.2017
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე	178,808	168,100
ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე		
ვადაგადაცილება 30-90 დღე	269,977	253,810
ვადაგადაცილება 91-180 დღე	218,832	205,727
ვადაგადაცილება 181-360 დღე	17,397	16,355
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	503,855	473,683
სულ ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე	1,010,061	949,575
სულ ფინანსური მოთხოვნები გაუფასურებამდე	1,188,869	1,117,675
გაუფასურების რეზერვი	-	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,188,869	1,117,675

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ბასს 39-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- „ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე“
- „ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე“
- „ინდივიდუალურად გაუფასურებული“ და
- „ჯგუფურად გაუფასურებული“

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმცა ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა. ასევე, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება აქტივები, რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება და უზრუნველყოფა სრულად ფარავს აქტივის ღირებულებას.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი.

მეოთხე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს გაუფასურების მტკიცებულება და კომპანია ქმნის ჯგუფურ რეზერვს.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს 1 წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	438,849	1,191,016

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	408,796	1,192,731

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	29,294	-	10,413,161
სხვა ხარჯები	(124,472)	-	(985,091)
შრომის ანაზღაურება	-	(459,503)	(5,968,031)

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

დივიდენდის განაწილება - იმ შემთხვევაში თუ კომპანია დამფუძნებელზე გაანაწილებს 2017 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით არსებულ გაუნაწილებელ მოგებას, გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 5,329,638 ლარს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.



ჩაჩავას კლინიკა
CHACHAVA CLINIC

მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 31 დეკემბერი

თბილისი, 2018

შინაარსი

ინფორმაცია სააქციო საზოგადოებისა და მისი საქმიანობის შესახებ.....	32
კომპანიის შიდა სტრუქტურა.....	33
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	34
საქმიანობის მიმოხილვა	34
კომპანიის მოკლე ისტორია.....	35
კომპანიის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	35
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	39
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	39
განვითარების გეგმები	40
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	40
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	40
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	40
დანართი 1.....	43

სს „ჩაჩავას კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს)

ინფორმაცია სააქციო საზოგადოებისა და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება	სააქციო საზოგადოება „ჩაჩავას კლინიკა“
საგადასახადო	203827608
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	0179, თბილისი, მ.კოსტავას ქ. №38
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი	№0615-27, 2001 წლის 7 თებერვალი
საკონტაქტო ტელეფონები	+995 32 2 93 23 02 / 2 93 11 48
ელ.ფოსტა	info@chachava.ge
ვებ-გვერდი	www.chachava.ge
გენერალური დირექტორის მ.შ.	ნატა ყაზახაშვილი
საქმიანობის სეფრო ("ეკონომიკური საქმიანობის სახეების"- სეკ-ის მიხედვით)	- საავადმყოფოების საქმიანობა (85.11), (ძირითადი); - სტომატოლოგიური პრაქტიკა (85.13); - საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული, სამედიცინო, - კოსმეტიკური და პარფიუმერული საქონლით (52.3).

კომპანიის შიდა სტრუქტურა


ანგარიშის წარმდგენი პირი:

სს ჩაჩავას კლინიკა (რომელსაც წარსულში ეწოდებოდა ს.ს. აკად. კ.ვ.ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი). კლინიკა პრივატიზებულია და კერძო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს.

კლინიკის პრივატიზება ჩატარდა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 24 ოქტომბრის #598 ბრძანებულების, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 17 მაისის 1-3/320 ბრძანების, კლინიკის შრომითი კოლექტივის კრების 2000 წლის 14 ივლისის დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის # 305 განკარგულების საფუძველზე. 2010 წლის 26 ნოემბერს გამართული აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით 2010 წლის 17 დეკემბრიდან ინსტიტუტი ფუნქციონირებს “ჩაჩავას კლინიკის” სახელით.

კლინიკა წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კლინიკას უშუალოდ მართავს გენერალური დირექტორი. კლინიკა საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და სააქციო საზოგადოების წესდების შესაბამისად.

სურათი 1.



სს „ჩაჩავას კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს)

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის მიმოხილვა

სს ჩაჩავას კლინიკის ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა. სს ჩაჩავას კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ასევე, ამბულატორულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2010 წლის 31 დეკემბერს გამოცემული ბრძანების #1055/ო საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული საქმიანობის წარმართვის სანებართვო მოწმობა # 000017, რომლის საფუძველზე ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორულ სამედიცინო საქმიანობას 12 სანებართვო მოწმობის დანართის (ლიცენზიის) ფარგლებში:

1. „სამეანო-ნეონატალური საქმიანობა“ - სანებართვო მომწმობის დანართი #005126.
2. „სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა - გინეკოლოგია“ - სანებართვო მოწმობის დანართი #000091
3. „რეანიმაცია“ - სანებართვო მომწმობის დანართი 000093
4. „ქირურგიული პროფილის საქმიანობა“ - სანებართვო მომწმობის დანართი 000095
5. „ონკოლოგია“ - სანებართვო მომწმობის დანართი 000096
6. „ოტორინოლარინგოლოგია“ - სანებართვო მომწმობის დანართი 000097
7. „ოფთალმოლოგია“ - სანებართვო მომწმობის დანართი 000098
8. „რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა“ სანებართვო მომწმობის დანართი 000099.
9. „ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა“ სანებართვო მომწმობის დანართი 004673
10. „ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა“ სანებართვო მომწმობის დანართი 004674.
11. „ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა“ სანებართვო მომწმობის დანართი 004675
12. „ლაბორატორიული საქმიანობა - მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა“ სანებართვო მომწმობის დანართი 004676

“ჩაჩავას კლინიკა” თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, მ.კოსტავას ქ.38. 0179, დისლოკაციის ერთ ადგილზე, ფილიალების გარეშე.

სურათი 2. სს ჩაჩავას კლინიკის შენობა



კომპანიის მოკლე ისტორია

სს ჩაჩავას კლინიკა 145 წელზე მეტია არსებობს და ატარებს წამყვანი სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულების სახელს.

კლინიკის შენობა აშენებულია 1875 წელს, შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი არქიტექტურული იერსახე, შენობის ფასადი განახლებულია 2007 წელს. შენობა 3 სართულიანია, მე-3 სართულზე განთავსებულია სამეანო განყოფილება, საოპერაციო ბლოკით. მე-2 სართულზე განთავსებულია ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილება საოპერაციო ბლოკით, ასევე ახალი ქირურგიული კლინიკა 3 საოპერაციო დარბაზით. I სართულის ნაწილი უჭირავს თანამედროვე ამბულატორიულ კლინიკას, ნაწილი ადმინისტრაციას, ხოლო დარჩენილი ფართობზე განთავსებულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი ულტრათანამედროვე IVF ლაბორატორიით.

შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგების, გათბობის და კონდიციონერების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

კომპანიის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა მოსახლეობას 100-ზე მეტი დასახელების სამედიცინო სერვისს აწვდის. ქვემოთ მოყვანილია კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალი: სამეანო-გინეკოლოგიური დახმარება, ნეონატოლოგია, ლაპარასკოპიული ქირურგია, პლასტიკური ქირურგია, რეპროდუქტოლოგია, სამედიცინო გენეტიკა, რადიოლოგიური გამოკვლევები, ანდროლოგიური გამოკვლევები, სტომატოლოგიური დახმარება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო სერვისები (“მშობელთა სკოლა”), ესთეტიკური მედიცინა, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები, ბიოქიმიური გამოკვლევები, ვირუსოლოგიური გამოკვლევები, კლინიკო-დიაგნოსტიკური გამოკვლევები, მიკრობიოლოგიური გამოკვლევები, სეროლოგიური გამოკვლევები, პათომორფოლოგიური დიაგნოსტიკა, ციტოლოგიური დიაგნოსტიკა, ულტრაბერითი დიაგნოსტიკა და სხვ.

სამედიცინო დახმარება ხორციელდება ისეთი უახლესი სამედიცინო აპარატურით, როგორიცაა:


- ლაპარასკოპიული ქირურგიისთვის ენდოსკოპიური ისტრუმენტების ნაკრები, კარლ შტორცი (გერმანია)
- ხელოვნური სუნთქვის აპარატი ახალშობილთათვის (დრეგერი, გერმანია)
- ხელოვნური სუნთქვის აპარატი მოზრდილთა (ველა, აშშ)
- ახალშობილთა ფოტოთერაპიის აპარატი (ფიშერ-პაიკელი, აშშ)
- რენტგენოგრაფიის აპარატი (სიმენსი, გერმანია)
- სისხლის საერთო ანალიზისთვის ანალიზატორი (სისმექსი, იაპონია)
- სისხლში გაზების ანალიზატორი (აისტატი, აშშ)
- ულტრაბერითი გამოკვლევის აპარატი, 4 გადამცემით (სიმენსი, გერმანია;)
- ულტრაბერითი გამოკვლევის აპარატი (ტომიზა, იაპონია)
- ფეტალური კარდიომონიტორი (ჯიმა, იტალია)
- დეფიბრილატორი (აპექსი, გერმანია)
- საანესთეზიო აპარატი (ჰეიერი, გერმანია)
- კოლპოსკოპიის აპარატი (ლეისგანგი, გერმანია)
- ცენტრალიზებული სასტერილიზაციო სისტემა, ვოშერით (გეტინგე, შვედეთი)
- დიაგნოსტიკური გამოკვლევებისათვის ქემილუმინესცენტული აპარატი, (პიტაჩი-როშე, გერმანია)
- აპარატი ბიოქიმიური კვლევისათვის (კობასი, საფრანგეთი) და სხვ. და სხვ.

კლინიკა ბაზრის წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობს: შპს „ავერსი ფარმა“, სს „გეფა“, შპს „პსპ ფარმა“ და სხვ. რომლებიც კლინიკას ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს აწვდიან. კლინიკა ასევე, თანამშრომლობს ისეთ ცნობილ სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ კომპანიებთან, როგორიცაა სიმენსი, ჯენერალ ელექტრიკი, ტომიბა, კარლ შტორცი, ჰიტაჩი-როშე, ჰუმანა დიაგნოსტიკ, ეპენდორფი და სხვ.

ჩაჩავას კლინიკა სადაზღვევო კომპანია „ქართუს“ და „PSP დაზღვევის“ პროვაიდერია.

პაციენტთათვის მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად კლინიკა წარმატებით თანამშრომლობს უცხოეთიდან მოწვეულ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან. გასულ წლებში დაწყებული თანამშრომლობა გერმანიიდან მოწვეულ სპეციალისტთან გაგრძელდა 2017 წელსაც. ურთიერთთანამშრომლობის პერიოდში გერმანიიდან მოწვეულმა სპეციალისტმა 465 პაციენტს გაუწია კონსულტაცია და სხვადასხვა სირთულის 67 ოპერაცია ჩაატარა, მათ შორის 14 მაღალი სირთულის ოპერაცია. აღსანიშნავია, რომ გერმანელ სპეციალისტთან გატარებული პაციენტების უმრავლესობა ოპერაციული მკურნალობის ჩატარებას საქართველოს ფარგლებსგარეთ (თურქეთში, გერმანიაში) გეგმავდა, მაგრამ თბილისში გერმანელ სპეციალისტთან მკურნალობის ჩატარების შესაძლებლობის გამო პაციენტებმა მკურნალობა ქვეყანაში განაგრძეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდა იმ ფულადი რესურსების გადინების შეჩერება, რომელიც პაციენტებს უცხოეთში მკურნალობისთვის უნდა გაეტანათ, ნაცვლად ამისა, სოლიდური რესურსები დარჩა საქართველოში და საქართველოს სამედიცინო ბაზარზე დაიხარჯა. 2017 წლის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ კლინიკაში სტაბილურად მაღალია გატარებული პაციენტების რაოდენობა.

სურათი 3. გატარებული პაციენტების რაოდენობა 2000-2017



2017 წელს კლინიკამ სულ გაატარა 34,345 პაციენტი. მათ შორის სტაციონარში ჰოსპიტალიზებულ იქნა 3,079 პაციენტი (2016 წ. 3,213 პაციენტი). კლინიკის საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრში გატარდა 31,266 პაციენტი (2016 – 36,319). პაციენტთა რაოდენობის კლება ნაწილობრივ განპირობებულია ჯანდაცვის სისტემის ახალი მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით და მოთხოვნებით. კერძოდ, 2015 წლის 15 იანვარს გამოცემულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის #01-2/ნ ბრძანება „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“, აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეები და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები“, რაც იმას გულისხმობს, რომ თითოეულმა დაწესებულებამ უნდა მიიღოს იმ კატეგორიის პაციენტი, რომლის მართვის შესაძლებლობა და რესურსები გააჩნია. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე 2016 წლის 7 დეკემბერს პერინატალური რეგიონალიზაციის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სს „ჩაჩავას კლინიკას“ მიენიჭა პერინატალური სერვისის II დონე. კლინიკა ვალდებულია მიიღოს პროფილის შესაბამისი ყველა პაციენტი, ხოლო მაღალი რისკის პაციენტები და პაციენტები განსაკუთრებით რთული მდგომარეობით, მიმართოს პერინატალური სერვისის III დონის

სს „ჩაჩავას კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს)

დაწესებულებაში. გარდა აღნიშნულისა, სამედიცინო ბაზარზე გამოჩნდა სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის ახალი სამედიცინო დაწესებულებები. თუ წარსულში თბილისის სამედიცინო ბაზარზე ოპერირებდა 10-მდე სამეანო-გინეკოლოგიურ პროფილის სტაციონარული დაწესებულება, დღეს მათი რაოდენობა 22-მდე გაიზარდა (თითოეული დაწესებულება მოსახლეობას როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორულ სერვისებს აწვდის). აღნიშნული გარემოებების გამო კლინიკაში გარკვეულწილად შემცირდა როგორც ამბულატორული, ისე სტაციონარული პაციენტების რაოდენობა.

ცხრილი 1. კლინიკაში ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა 2016-2017

#	წელი/პროფილი	2017	2016
1	სამეანო სექტორი	2,225	2,364
2	ორსულთა პათოლოგია	124	186
3	გინეკოლოგიური სექტორი	500	528
4	ახალი ქირურგია	230	135
	სულ	3,079	3,213


მიუხედავად აღნიშნულისა, კლინიკაში სტაბილურად მაღალია პაციენტთა რაოდენობა.

2017 წელს კლინიკის მიერ მიწოდებული სამეანო სერვისების წილი სამედიცინო ბაზარზე თბილისში საშუალოდ შეადგენს - 14.9%-ს, ხოლო საქართველოში - 4.17%.

სურათი 4. სს ჩაჩავას კლინიკის სამეანო-გინეკოლოგიური სერვისების წილი საქართველოს სამედიცინო ბაზარზე (საქართველოში შობადობის თაობაზე ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს: www.geostat.ge)




სურათი 5. სს ჩაჩავას კლინიკის სამეანო-გინეკოლოგიური სერვისების წილი თბილისის სამედიცინო ბაზარზე (თბილისში შობადობის თაობაზე ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს: www.geostat.ge)



კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ინსტრუქციებით და პროტოკოლებით, კლინიკის ექიმები სისტემატიურად გადიან პროფესიულ მომზადებას, ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები სხვადასხვა დაავადებებისა და მდგომარეობების მართვის შესახებ (პროფესიული ინტერნეტ-რესურსები, UpToDate და სხვ). 2017 წელი კლინიკამ სტაციონარული საქმიანობის ამსახველი გაუმჯობესებული მაჩვენებლებით დაასრულა. ისეთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელი, როგორიცაა საწოლზე დაყოვნების მაჩვენებელი შემცირდა და 3.2 დღე შეადგინა (2016 - 3.3).


სურათი 6. პაციენტის საწოლზე დაყოვნების მაჩვენებელი (დღე) 2008-2017



კლ მაჩვენებელმა - 37.3 შეადგინა (2016 - 38.7). კლმის ტენდენციით ხასიათდება პოსტპერაციული გართულებების და რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევები.

კლინიკის მენეჯმენტი და ექიმების გუნდი სისტემატიურად მუშაობს რესურსტევადი და ხარჯტევადი მაღალ რისკთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების შესამცირებლად. ასეთი სერვისების კატეგორიას განეკუთვნება საკეისრო კვეთა, რომელიც ძალზე მაღალია საქართველოში. კლინიკაში საკეისრო კვეთის მაჩვენებელმა 2017 წელს 39% შეადგინა (2016 - 40%), აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნის იგივე მაჩვენებელზე 4%-ით ნაკლებია.

სურათი 7. საკეისრო კვეთა სს ჩაჩავას კლინიკაში. 2008 - 2017



სამედიცინო საქმიანობაზე სისტემატიური ზედამხედველობის, პაციენტთა მართვის და მკურნალობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მკვდრადშობადობის და პერინატალური მოკვდაობის მაჩვენებლები. საანგარიშო პერიოდში სულ დაფიქსირდა მკვდრადშობადობის 2 ეპიზოდი. საანგარიშო წელს (2017) და ასევე, წინა წელს (2016) კლინიკას არ ჰქონია ლეტალობის არცერთი შემთხვევა.

კლინიკაში დასაქმებულია ექიმები, ექთნები და სხვა დამხმარე პერსონალი. 2017 წელს კლინიკის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 376, მათ შორის 45-მდე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

ცხრილი 2. თანამშრომელთა რაოდენობა

წელი	2017	2016
თანამშრომელთა რაოდენობა	376	379

შენიშვნა: არაფინანსური მაჩვენებლების განმარტებები მოცემულია დანართ 1-ში.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა ინოვაციური ღონისძიებების დანერგვა, რომელიც ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარებას ან გაუმჯობესებას უკავშირდება.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო დამფინანსებლების მიხედვით არის სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული ფულადი რესურსები (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში), ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიების დაზღვევულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებით მიღებული შემოსავალი, პაციენტთა მიერ გადახდილი თანხები და სხვ.


სს ჩაჩავას კლინიკის 2017 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით შემოსავლების ზრდა აღინიშნება.

კლინიკის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის მიხედვით ყურადღებას იპყრობს სამედიცინო საქმიანობით მიღებული შემოსავალის მატება, რაც მოსახლეობისთვის ახალი, თანამედროვე, მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდების შედეგია.

2017 წელს კლინიკის საოპერაციო შემოსავლებმა 10,987,004 ლარი შეადგინა (2016 – 10,529,975 ლარი). თანამედროვე აპარატურის გამოყენებით ახალი სერვისების დანერგვამ ხელი შეუწყო სამედიცინო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ზრდას. 2017 წელს სამედიცინო საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა 10,413,161 ლარი შეადგინა (2016 – 9,193,964 ლარი) ესთეტიკურ ცენტრში ახალი სერვისების მიწოდებამ ხელი შეუწყო შემოსავლების მატებას (2017 წელს ესთეტიკური ცენტრის სერვისებით შემოსავალმა 169,793 ლ შეადგინა, ხოლო 2016 წელს - 104,130 ლარი).

კლინიკის ხარჯების ანალიზით ვლინდება, რომ გაიზარდა მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები. ასევე, მოიმატა საკვებზე გაწეულმა ხარჯებმა. 2017 წელს შემცირდა წყლის, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის ხარჯები, რაც კლინიკის მენეჯმენტმა ბუნებრივი რესურსებისადმი ფრთხილი დამოკიდებულებით და ყაირათიანი ხარჯვით მიაღწია. გაიზარდა გაცემული ხელფასების რაოდენობა, ასევე ბიუჯეტში გადარიცხული თანხების ოდენობა.

სურათი 8. კლინიკის მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხები 2015-2017



სს „ჩაჩავას კლინიკა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს)

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა - 9.98%

(საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

წმინდა მოგების მარჟა - 10.72%

(წმინდა მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

EBITDA – 20.04%

(წმინდა მოგება + საპროცენტო ხარჯი + მოგების გადასახადის ხარჯი + ცვეთა და ამორტიზაცია)/საოპერაციო შემოსავალი

ROE – 3.45%

(წმინდა მოგება/ კაპიტალი)

კლინიკას არ აქვს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება, არ აქვს ვადაგასული კრედიტორული დავალიანებები. საფინანსო მაჩვენებლის მიხედვით კლინიკას მდგრადი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

განვითარების გეგმები

2017 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კლინიკის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი, ასევე მოსალოდნელი საფრთხეებისა და ზიანის შემცირება.

საოპერაციო რისკები

#	რისკი	პრევენციული ღონისძიება
1	მედიკამენტების და სახარჯი მასალის ფასების ზრდა	ა) ძირითადი ნოზოლოგიური ერთეულების მიხედვით მკურნალობს გაიდლაინებისა და პროტოკოლების გადახედვა, ახალი სტანდარტების შემუშავება. მკურნალობის ახალი ხარჯთეფექტური მეთოდების მოძიება. ბ) მედიკამენტების და სახარჯი მასალის ხარჯვის ოპტიმიზაცია გ) ყველაზე ხშირად საჭირო მედიკამენტებისა და სახარჯი მასალის შესყიდვა ტენდერით და მინიმუმ 6 თვის მარაგის შექმნა.
2	წყლის, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ტარიფების ზრდა	ა) წყლის, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯვის მკაცრი კონტროლი. ბ) მომწოდებლებთან ტარიფის არშეცვლის თაობაზე შეთანხმების მიღწევა და გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება.
3	კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, ადამიანური რესურსების დენადობა	ა) თანამშრომლობა პროფილურ უნივერსიტეტებთან, ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა, სწავლება და გადამზადება. ბ) უცხოეთის წამყვან კლინიკებთან თანამშრომლობა და სპეციალისტების მოწვევა ურთიერთხელსაყრელი პირობებით. გ) კლინიკის სპეციალისტების საზღვარგარეთ მივლინება და სწავლება.
4	აპარატურისა და აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლა, სახარჯი მასალისა და სათანადო ნაწილების დეფიციტი	ა) აპარატურისა და აღჭურვილობის ექსპლოატაციის საინჟინრო კონტროლი. ბ) სერვისის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება ადგილობრივ და/ან უცხოეთის კომპანიებთან. გ) ყოველი ახალი აპარატ-აღჭურვილობის შესყიდვის დროს საგარანტიო მომსახურებისა და სერვისის პირობით ხელშეკრულების გაფორმება. დ) თანამშრომელთა პერიოდული ტრენინგი აპარატურის ექსპლოატაციის წესებთან დაკავშირებით ე) უწყვეტი და სტაბილური ელექტრო-მომარაგების უზრუნველყოფა.

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. სს „ჩაჩავას კლინიკის“ მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

დანართი 1

განმარტებები არაფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

განმარტება 1. გატარებული პაციენტების რაოდენობა (სტაციონარი)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 2. გატარებული პაციენტების რაოდენობა (ამბულატორია)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის ამბულატორულ ნაწილში გატარებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 3. საკეისრო კვეთების მაჩვენებელი (პროცენტი)

(საკეისრო კვეთების რაოდენობა) / (მშობიარობების საერთო რაოდენობა) x 100

განმარტება 4. საწოლზე დაყოვნების საშუალო დაყოვნების მაჩვენებელი

(გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა) / (ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა). აღნიშნული მაჩვენებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების კატეგორიას განეკუთვნება. როცა კლინიკაში სამედიცინო საქმიანობა კარგადაა ორგანიზებული, პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სტანდარტების შესაბამისად, ოპერატიულად, დროითი დანაკარგის გარეშე მიმდინარეობს. პაციენტი კლინიკაში დიდხანს არ ყოვნდება, სასურველი შედეგის მიღწევა დროულად ხდება, პაციენტი ამოწურავს ჰოსპიტალიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ ვადას (დაასრულებს სტაციონარული მკურნალობის ეტაპს) და ეწერება კლინიკიდან ამბულატორული მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

განმარტება 5. ლეტალობის მაჩვენებელი

(გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობა) / (გაწერილი პაციენტების რაოდენობა) X 100

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

_____ ნ. ყაზახაშვილი

უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავემახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ოვანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

28 სექტემბერი 2018



დანართი 1

განმარტებები არაფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

განმარტება 1. გატარებული პაციენტების რაოდენობა (სტაციონარი)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 2. გატარებული პაციენტების რაოდენობა (ამბულატორია)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის ამბულატორულ ნაწილში გატარებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 3. საკეისრო კვეთების მაჩვენებელი (პროცენტი)

(საკეისრო კვეთების რაოდენობა) / (მშობიარობების საერთო რაოდენობა) x 100

განმარტება 4. საწოლზე დაყოვნების საშუალო დაყოვნების მაჩვენებელი

(გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა) / (ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა). აღნიშნული მაჩვენებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების კატეგორიას განეკუთვნება. როცა კლინიკაში სამედიცინო საქმიანობა კარგადაა ორგანიზებული, პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სტანდარტების შესაბამისად, ოპერატიულად, დროითი დანაკარგის გარეშე მიმდინარეობს. პაციენტი კლინიკაში დიდხანს არ ყოვნდება, სასურველი შედეგის მიღწევა დროულად ხდება, პაციენტი ამოწურავს ჰოსპიტალიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ ვადას (დაასრულებს სტაციონარული მკურნალობის ეტაპს) და ეწერება კლინიკიდან ამბულატორული მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

განმარტება 5. ლეტალობის მაჩვენებელი

(გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობა) / (გაწერილი პაციენტების რაოდენობა) X 100

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



ნ. ყაზახაშვილი

სს „ჩაჩავას კლინიკა“

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2017
შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან	4	10,413,161
სხვა შემოსავალი	5	573,843
სულ საოპერაციო შემოსავალი		10,987,004
მარაგების ცვლილება		79,075
მარაგის შესყიდვის ხარჯი		(2,099,495)
პერსონალის ხარჯები		(5,968,031)
ცვეთა და ამორტიზაცია	9, 10	(917,099)
სხვა ხარჯი	6	(985,091)
სულ საოპერაციო ხარჯები		(9,890,641)
საოპერაციო მოგება		1,096,363
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	7	199,228
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		(10,411)
მოგება დაბეგვრამდე		1,285,180
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(107,139)
წლის სრული შემოსავალი		1,178,041

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ნ. ყაზახაშვილი
მ. სვანიძე



10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.